სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

30/07/2025

MES 4 25 0000930415

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

“სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მაგისტრატურის დებულების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის N01-05-04/13 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge, 2025 წლის 25 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართი -1, დანართი 2);
3. ფაკულტეტებზე პასუხისმგებელ პირებს დაევალოთ ჩარიცხვის მსურველთა მიერ ატვირთული ინფორმაციის შემოწმება (პასუხისმგებელ პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართი 3);
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს დ. გორგიძეს;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;

6. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)

Not signed

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი